პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 230 (9698) | სამშაბათი, 29 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მტკიცედ განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დადგენილება 1953-1955 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ, ფართოდ განუმარტონ ეს დადგენილება კოლმეურნეებს, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, გაშალონ მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ამ კულტურების საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდებისათვის.

პარტიული განათლების ამოცანები ახალ სასწავლო წელს

„პრავდის“ 27 სექტემბრის მოწინავე

კომუნისტების, ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა კომუნისტური პარტიის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანია. პარტია იმას ემყარება, რომ კომუნისტური მშენებლობისადმი სწორი ხელმძღვანელობის ამოცანა მოითხოვს, რომ ჩვენი კადრები, ყველა კომუნისტი ეუფლებოდნენ თეორიას, შესწევდეთ უნარი იხელმძღვანელონ თეორიით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაჭრისას. პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების იდეური დონის განუწყვეტელი ამაღლება ცხოვრების ყველა დარგში მათი ავანგარდული როლის გაძლიერების გადამწყვეტი პირობაა.

ამჟამად ყველა პარტიულ ორგანიზაციაში მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. 1 ოქტომბერს დაიწყება მეცადინეობა პარტიული განათლების მთელ ქსელში. გასული სასწავლო წლის შედეგები იმას მოწმობენ, რომ პარტიული ორგანიზაციები, ახლულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, უფრო აქტიურად მუშაობენ მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში პარტიის წევრებისა და კანდიდატების ცოდნის ამაღლების საკითხებზე. პარტიული განათლების სისტემაში ფართოდ გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლა, გაწეულია დიდი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალების შესასწავლად. ყოველივე ამან, უეჭველია, ხელი შეუწყო კომუნისტების იდეური დონის ამაღლებას, გაუღვიძა თავ უფრო მეტი ინტერესი პოლიტიკური სწავლისადმი.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ამას დავჯერებოდით. პარტიული პროპაგანდა ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება პარტიის ამოცანებს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე კადრების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრებისა და კანდიდატების იდეოლოგიური აღზრდის დარგში. სიტყვიერ და ბეჭდვითს პროპაგანდაში ჯერ კიდევ გადალახული არ არის მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო მედავითნური, დოგმატიკური მიდგომა თეორიის შესწავლისადმი, მეცოტატეობა. ხშირად თეორიულ დებულებებს განიხილავენ კონკრეტული ისტორიული ვითარებისაგან მოწყვეტით, ისე რომ ღრმად არ განმარტავენ მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის გარდამქმნელ როლს საზოგადოების განვითარებაში, განიხილავენ პარტიის ძირითადი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტით.

მხოლოდ იმის უუნარობით, რომ გაერკვნენ მარქსიზმის არსში, შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ პროპაგანდისტულ მუშაობაში ისეთ საკითხს, როგორიც არის პროდუქტგაცვლის სისტემა, შეცდომით განიხილავენ როგორც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დღევანდელი დღის პრაქტიკულ ამოცანას, ხოლო ამავე დროს ჯეროვნად არ აფასებენ საბჭოთა ვაჭრობისა და საქონელბრუნვის უდიდეს მნიშვნელობას სოციალიზმის პირობებში. ჩვენში კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ლაპარაკით კი ლაპარაკობენ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის შეხამებაზე, იმაზე, რომ პოლიტიკა გაუყოფელია მეურნეობისაგან, მაგრამ პრაქტიკაში პოლიტიკურ საქმიანობას სწყვეტენ სამეურნეო მშენებლობის ყოველდღიურ მუშაობისაგან, უუნარი არა აქვთ, ხოლო ზოგჯერ არა სურთ დაუკავშირონ თეორია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ბევრი პროპაგანდისტი სუსტად აშუქებს პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისა და მათი საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის დარგში.

თეორიის შესწავლისადმი ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც შემოქმედებითს მეცნიერებას. საჭიროა პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში აღმოიფხვრას მედავითნური, დოგმატიკური მიდგომა თეორიის შესწავლისადმი, საჭიროა ვაღწევდეთ იმას, რომ კომუნისტებმა მტკიცედ შეითვისონ არა ცალკეული ფორმულირებანი და ციტატები, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმის არსი პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანებთან მჭიდროდ დაკავშირებით.

პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში დაშვებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის გაუბრალოება და ვულგარიზაცია ისტორიაში ხალხის მასების, პარტიისა და პიროვნების როლის საკითხში; დავიწყებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ის მითითება, რომელიც მოცემულია გადაწყვეტილებაში „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით (1938 წლის ნოემბერი), რომ პარტიის ისტორია უნდა შუქდებოდეს არა ცალკეული პირებისა და მათი ბიოგრაფიების გარშემო, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი იდეების განვითარების ბაზაზე, ისტორიული ფაქტების საფუძველზე. პარტიული პროპაგანდა ხშირად გადადიოდა პიროვნების კულტის გზაზე. პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში თავს იჩენდა უდარდელი დამოკიდებულება ისეთი უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების შესწავლისადმი, როგორიც არის პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებშიც გამოსატულია პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რაც გამომუშავებულია მრავალი წლის მანძილზე. პარტიული პროპაგანდის ამოცანა ის არის, რომ აღმოფხვრას ჩვენი პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში მარქსიზმ-ლენინიზმისაგან გადახვევა ისტორიაში პიროვნების როლის საკითხში, ცხადყოს ხალხის — ისტორიის შემოქმედის გადამწყვეტი როლი და კომუნისტური პარტიის, როგორც კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლი.

ბეჭდვითს და სიტყვიერ პროპაგანდაში ადგილი ჰქონდა სუბიექტივისტურ, ვოლუნტარისტულ შეხედულებებს სოციალიზმის ეკონომიური კანონების ხასიათზე, შეხედულებებს, რომლებიც არსებითად იწვევდნენ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა უარყოფას. მეორე მხრივ, ჩვენს ბეჭდვითსა და სიტყვიერ საბამებოდეს იმ კომუნისტების მოთხოვნილებებს, რომლებმაც ამ უკანასკნელ წლებში დაამთავრეს პარტიული განათლების სკოლები და წრეები და სურვილი გამოთქვეს აიმაღლონ თეორიული ცოდნა პოლიტიკური ლიტერატურის ინდივიდუალური კითხვის ან სემინარებში მეცადინეობის გზით. ამისათვის საჭიროა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნას ლექტორიუმები და იქ მოეწყოს სისტემატური კითხვა ლექციებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიასა და თეორიაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ ლექციების ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებას, ამასთან ლექციების შინაარსი დაუკავშირონ პარტიის ძირითად ამოცანებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

ლექციური პროპაგანდის ფართოდ გაჩაღებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკური სწავლების სემინარულ ფორმებს, რომლებიც შემოწმებულია პრაქტიკით. სემინარები აქტივის სწავლების მოხერხებული ფორმაა, რომელშიც მსმენელთა სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობა შეხამებულია ღრმა კონტროლთან და შესასწავლი მასალის შემოქმედებითად განხილვასთან. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან საჭიროა ნებაყოფლობის საფუძველზე მოეწყოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო აქტივის სემინარები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, სამრეწველო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესასწავლად.

ახალი სასწავლო წლიდან ხადამოს პარტიულ სკოლებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში წესდება სწავლების ხამწლიანი ვადა. ეს საშუალებას აძლევს კომუნისტებს, რომლებიც პოლიტიკური სწავლის ამ რგოლებში მეცადინეობენ, ღრმად და ზედმეტი აჩქარების გარეშე შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურა, პარტიის გადაწყვეტილებანი.

პარტიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პროპაგანდისტთა კადრების შემადგენლობაზე. პროპაგანდისტულ მუშაობაში მონაწილეობას იღებს ასეულ ათასობით ადამიანი, რომელნიც ისწრაფვიან თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეს. მაგრამ ბევრი პარტიული კომიტეტი ყოველდღიურად არ ხელმძღვანელობს მუშაობას თეორიულად მომზადებულ პროპაგანდისტთა შესარჩევად, სისტემატურ დახმარებას არ უწევს პროპაგანდისტთა კადრებს მეცადინეობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ კვლავაც გაუმჯობესონ პოლიტგაკადრების და წრეების პროპაგანდისტთა შემადგენლობა, იქ მეცადინეობის ჩასატარებლად მიიწვიონ პარტიის წევრები, რომლებსაც ღრმა ცოდნა აქვთ მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში. ამასთანავე საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ყოველმხრივი დახმარება პროპაგანდისტებისადმი, ჯეროვნად მოეწყოს პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა, ამ საქმის სახელმძღვანელოდ გამოყოფილ იქნან კვალიფიციური ადამიანები იმ პარტიულთა და საბჭოთა მუშაკების რიცხვიდან, რომლებსაც პარტიულ-პოლიტიკური სასწავლებლები აქვთ დამთავრებული, უმაღლეს სასწავლებელთა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მასწავლებლები, ლექტორები და სხვა პროპაგანდისტული მუშაკები, რომლებსაც საჭირო თეორიული მომზადება აქვთ. პროპაგანდისტებისათვის რეგულარულად უნდა ეწყობოდეს პარტიული და საბჭოთა მუშაკების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სპეციალისტთა ლექციები და მოხსენებები.

მთელი პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ჩვენს პრესას. შეუწყნარებელია, რომ ჩვენს ეუონალ-გაზეთებში ჯერ კიდევ ნაკლებად იბეჭდება კარგი პროპაგანდისტული სტატიები. ბევრი პარტიული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს თავის ბეჭდვითს ორგანოებს, არ აუნებს მათ მთელი პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესების საზრდ.

მომავალ სასწავლო წელს პარტიული ორგანიზაციების წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას პარტიული პროპაგანდის დარგში. პროპაგანდისტული მუშაობის იდეურ-თეორიული დონის, ხარისხის გაუმჯობესება პარტიული ორგანოებისაგან მოითხოვს ყოველდღიურად უხელმძღვანელონ ჩვენი პარტიისათვის ამ სახიოცხლო საქმეს. საჭიროა რეგულარულად განვიხილოთ პარტიული კომიტეტების სხდომებზა და პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე და პირველადს ორგანიზაციებში კომუნისტების პოლიტიკური სწავლების საკითხები, შეექმნათ პარტიული აქტივის საზოგადოებრივი აზრი იმათ წინააღმდეგ, ვინც არ მუშაობს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, პოლიტიკური ცოდნით არ იმდიდრებს თავს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა ნებაყოფლობითს საფუძვლებზე შექმნილი პარტიული განათლების სკოლები, წრეები და სემინარები შეუფერხებლად მუშაობდნენ, რათა ყველა კომუნისტი, რომელმაც იქ მეცადინეობის სურვილი გამოთქვა, რეგულარულად ესწრებოდეს მეცადინეობას და ასრულებდეს სასწავლო პროგრამას. თეორიის ინდივიდუალურად შემსწავლელ კომუნისტებთან სისტემატურად უნდა ეწყობოდეს გასაუბრებანი ან სემინარული მეცადინეობა, რისთვისაც უნდა გამოიყოს კონსულტანტები. შეუწყნარებელია თვითდინება და უკონტროლობა კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეში.

პარტიული პროპაგანდა ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა, რომელიც პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ინიციატივას, სიმტკიცეს და დაკვირვებას. პარტიული ორგანიზაციების ზოვალეობა და ვალი ის არის, რომ აღმოფხვრან პარტიულ განათლებაში არსებული ნაკლოვანებანი და აიყვანონ მთელი პროპაგანდისტული მუშაობა კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების დონეზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

1953-1955 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების ღონისძიებათა და დამზადების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად ჩამორჩება მათზე მოსახლეობის, განსაკუთრებით დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის, აგრეთვე გადამუშავებელი მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესმა ფართობმა ვერ მიაღწია ომამდელ დონეს, მოსავლიანობა უაღრესად მცირეა, ბევრი კოლმეურნეობა ვერ ასრულებს სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებას, ამ დარგებიდან მცირე ფულად შემოსავალს იღებს და კოლმეურნეებს შრომადღეებზე მცირე ფულად და ნატურალურ ანაზღაურებას აძლევს.

კარტოფილისა და ბოსტნეულის მოქმედი დასამზადებელი ფასები ამ კულტურების წარმოებით საჭირო ეკონომიურ დაინტერესებას ვერ უქმნის კოლმეურნეებს, რის გამო კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანას კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა და ამ კულტურების მოყვანის აგროტექნიკა მეტად დაბალ დონეზეა. ხშირად კარტოფილს რგავენ გაზაფხულის ნახნავში დიდი დაგვიანებით, გაუპატივებელ მიწებში, უჯიშო თესლით, თესვის არასრული ნორმით. კარტოფილის მწკრივთა შორის დამუშავება ხორციელდება ცუდად და არადროულად. მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი მუშაობა კარტოფილის, განსაკუთრებით საადრეო ჯიშების კარტოფილის მეთესლეობის დარგში, რის შედეგადაც ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს თავის თავს საკუთარი ჯიშიანი სარგავი მასალით. ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში სასათბურო-საკვალსათბურო მეურნეობა უყურადღებოდ არის მიტოვებული. საადრეო ბოსტნეული დიდი ქალაქების ბაზრებშიც კი მცირე რაოდენობით და განსაზღვრული ასორტიმენტით შემოდის. არასაკმაო რაოდენობით გამოჰყავთ კომბოსტოს და პამიდორის ჩითილი, რის შედეგადაც ამ კულტურების რგვის გეგმა ყოველწლიურად არ სრულდება. ბოსტნეული კულტურების ნათესების მოვლა — მწკრივთა შორის გაფხვიერება, მიწის შემოყრა, გათხნა, მორწყვა და სასუქის დამატებით შეტანა წარმოებს არა თავის დროზე და არასაკმაო რაოდენობით. ეს ნაკლოვანებანი კარტოფილისა და ბოსტნეულის დაბალი მოსავლის მთავარი მიზეზია, ხოლო მათი დაგვიანებით და არაკეთილსარისხოვნად აღება იწვევს მნიშვნელოვან დანაკარგებს და ქმნის მოსავლის კიდევ უფრო დიდ დანაკლისს. დიდი შრომატევადობის მიუხედავად კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის მექანიზაცია მკვეთრად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მექანიზაციას. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები ცუდად არიან აღჭურვილნი სათოხნი ტრაქტორებით და კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო მანქანებით, ხოლო არსებულ მანქანებს არადამაკმაყოფილებლად იყენებენ. ბევრი მტს-ი არ ასრულებს კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების რგვისა და თესვის, ნათესების მოვლისა და მოსავლის აღების დარგში, ხოლო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა ორგანოები მტს-ების დირექტორებისადმი ჯეროვან მოთხოვნილებას არ იჩენენ კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის მექანიზაციის დარგში და ამ სამუშაოთა შესრულების შესახებ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების დარგში, რის შედეგადაც აღნიშნულ სამუშაოთა შესრულება ჭიანურდება, ხოლო ნათესების ნაწილი მოუვლელი რჩება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების მუშაკები ცუდად სწავლობენ კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის ახალ ხერხებს. კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი რგვისა და თესვის ახალი, პროგრესული წესი, რასაც ფართოდ იყენებენ მოწინავე კოლმეურნეობები, ნელა ინერგება, და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო არ იღებენ სათანადო ღონისძიებებს, რომ ეს წესი ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კუთვნილება გახადონ. კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესვისა და რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი კი შესაძლებლობას გვაძლევს თითქმის მოლიანად მოვახდინოთ ნათესების მოვლის მექანიზაცია, ბევრად შევამცეროთ ხელის შრომის ხარჯვა მათი მოყვანისათვის, უფრო მალე გავადიდოთ ამ კულტურების მოსავლიანობა და მებოსტნეობა და კარტოფილის წარმოება გავხადოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის დიდმოსავლიან დარგებად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეუწყნარებლად მიაჩნიათ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ბევრი ხელმძღვანელისა და სპეციალისტის მიერ კარტოფილის და ბოსტნეული კულტურების თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის დღემდე არსებული შეუფასებლობა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსაგან, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსაგან, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან მოითხოვენ ბოლო მოუღონ ასეთ არასახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას ამ საქმისადმი და უზრუნველყონ ყველგან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის დანერგვა.

პარტიისა და მთავრობის მიერ დაწესებულმა იმ პრინციპმა, რომ კოლმეურნეობების მიერ კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება ხდებოდეს კოლმეურნეობებისათვის მიმაგრებული სახნავი მიწის ყოველი ჰექტარის მიხედვით, სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. მაგრამ კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების პრაქტიკაში ამახინჯებენ ამ პრინციპს, როცა მოწინავე, კარგად მომუშავე კოლმეურნეობებს, რომლებიც უხვ მოსავალს იღებენ, სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების დარგში დავალებას აძლევენ მნიშვნელოვნად მეტი ოდენობით, ვიდრე ჩამორჩენილ, ცუდად მომუშავე კოლმეურნეობებს.

ასეთი არასწორი პრაქტიკა სტიმულს არ აძლევს კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლას და არ ახალისებს მოწინავე კოლმეურნეობებს. ასეთი სისტემის დროს არ ხდება წახალისება მოწინავე კოლმეურნეობებისა და კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეებისა, რომლებიც ზრდიან კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებას, და ისინი ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული იმ კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან შედარებით, რომლებიც ცუდად ზრუნავენ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ბევრ კოლმეურნეობაში, სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებისა და საჭირო საზოგადოებრივი ფონდების შექმნის შემდეგ, რჩება დიდძალი კარტოფილი და ბოსტნეული, რომელიც გასაღების ცუდი ორგანიზაციის გამო არ იყიდება ბაზრებზე, რაც ამცირებს კარტოფილსა და ბოსტნეულზე ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ამცირებს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ფულად შემოსავალს და ხელს არ უწყობს ამ დარგების განვითარებას. სამომხმარებლო კოოპერაცია ცუდად აწყობს და ახორციელებს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან კარტოფილისა და ბოსტნეულის შესყიდვას.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების შემდგომი განვითარების საქმეს, ამ კულტურების მოსავლიანობისა და საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდებას მათზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ნედლეულით კვების მრეწველობის უზრუნველსაყოფად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1953 წლის 7 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად **დაადგინეს:**

I.

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების შესახებ

1. დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ 1953 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მთელი მოსავლის უდანაკარგოდ აღება.

ამ მიზნით:

ა) უზრუნველყონ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის დროზე აღება და გამოზიდვა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მოსავლის აღების სამუშაოთა ხარისხი, მოაწყონ მიღებული მოსავლის ზუსტი აღრიცხვა და უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეებს თავის დროზე ეძლეოდეთ დამატებითი ანაზღაურება კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის;

ბ) მიიღონ ზომები კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღების საქმეში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ მოსავლის აღების სამუშაოთა მექანიზაცია შესაძლებელს გახდის მოსავლის აღების ვადების შემოკლებას და მოსავლის დანაკარგის შემცირებას.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა სისტემატურად განიხილონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღების მიმდინარეობა, აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ ამ კულტურების მოსავლის აღების დავალებათა შესრულება. თავის დროზე მიიღონ საჭირო ზომები კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღების რაც შეიძლება მალე დამთავრებისა და დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის.

2. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების შემდგომი განვითარების მიზნით დაწესდეს 1954 წლისათვის ამ კულტურების დათესვის შემდეგი დავალებანი:

ა) კოლმეურნეობებში — კარტოფილი 4.128,5 ათასი ჰექტარი და ბოსტნეული კულტურები — 1.003,4 ათასი ჰექტარი. ბოსტნეული კულტურების თესვისა და რგვის საერთო ფართობიდან დაწესდეს შემდეგი დავალება კულტურების მიხედვით: კომბოსტო — 279,7 ათასი ჰექტარი, კიტრი — 153,8 ათასი ჰექტარი, პამიდორი — 171,4 ათასი ჰექტარი, ხახვი და ნიორი — 116,6 ათასი ჰექტარი, სტაფილო — 99,3 ათასი ჰექტარი და სუფრის ჭარხალი — 90 ათასი ჰექტარი. აღნიშნული დავალების ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნას:

კოლმეურნეობებში სარწყავ მიწებზე 153,4 ათასი ჰექტარი კარტოფილის და 284,2 ათასი ჰექტარი ბოსტნეული კულტურების დარგვა და დათესვა;

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საკონსერვო და ბოსტნეულსახმობი ქარხნების ზონების კოლმეურნეობებში 133 ათასი ჰექტარი ბოსტნეული კულტურების, მათ შორის 45,2 ათასი ჰექტარი პამიდორის დათესვა;

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1953-1955 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გაზრდების ღონისძიებათა და დამზადების შესახებ

(გაგრძელება)

ბ) სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 218 ათასი ჰექტარი კარტოფილისა და 72,5 ათასი ჰექტარი ბოსტნეული კულტურების და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 44 ათასი ჰექტარი კარტოფილისა და 20 ათასი ჰექტარი ბოსტნეული კულტურების დათესვა.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უზრუნველყონ კარტოფილის რგვის, ბოსტნეული კულტურების თესვისა და რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის ფართოდ დანერგვა, რაც საშუალებას იძლევა ორი მიმართულებით მოვახდინოთ მათი დამუშავების მექანიზაცია. უზრუნველყონ 1954 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილის, პამიდორისა და კომბოსტოს რგვა, როგორც წესი, კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული წესით. რადგან 1954 წელს კარტოფილსათესი მანქანები საკმაოდ არ იქნება იმისათვის, რომ კარტოფილი მთელ ფართობზე მანქანური წესით დაითესოს, კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დროს ფართოდ იქნას გამოყენებული გუთნები, კულტივატორები და სხვა იარაღები.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ 1953-1954 წლებში დამატებით გადაიყვანოს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაზე 154 საბჭოთა მეურნეობა, ხოლო სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ მოაწყოს ბოსტნეულისა და ხილ-ბოსტნეულის 7 საბჭოთა მეურნეობა.

3. დაწესდეს 1954 წლისათვის კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე:

ა) კოლმეურნეობებში — კარტოფილი სულ ცოტა 140 ცენტნერი, კომბოსტო — 175 ცენტნერი, კიტრი — 110 ცენტნერი, პამიდორი — 135 ცენტნერი, ხახვი — 85 ცენტნერი, სტაფილო — 120 ცენტნერი, სუფრის ჭარხალი — 130 ცენტნერი;

ბ) საბჭოთა მეურნეობებში — კარტოფილი სულ ცოტა 140 ცენტნერი, კომბოსტო — 210 ცენტნერი, კიტრი — 115 ცენტნერი, პამიდორი — 165 ცენტნერი, ხახვი — 100 ცენტნერი, სტაფილო — 135 ცენტნერი და სუფრის ჭარხალი — 155 ცენტნერი.

4. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 1 ნოემბრისათვის წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესი ფართობის გაფართოების შესახებ ნოღა მიწებში, რომლებიც მდებარეობს დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, აგრეთვე სპირტის, სახამებელ-ბადაგისა და ბოსტნეულგადამმუშავებელი მრეწველობის ნედლეულის ზონების ახლოს. ამ ფართობის გაფართოება უნდა მოხდეს ნოღა მიწებზე მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესის შემცირებით და ახალი ნოღა მიწების ათვისების სამუშაოთა შესრულებით.

მოსკოვის ოლქის ნოღა მიწებზე, ვოლგა-ახტუბის ნოღაში, მდინარე ოკისა და სხვა მდინარეთა ნოღებში ბოსტნეულის წარმოების განვითარების საქმის უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, მოსკოვის, სტალინგრადის, ასტრახანისა და რიაზანის საოლქო აღმასკომებს ნოღა მიწებში ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესი ფართობი აიყვანონ:

ა) მოსკოვის ოლქში მდინარე ოკის, მდინარე მოსკოვის, მდინარეების იახრომისა და სესტრის ნოღებში ბოსტნეული კულტურები 1954 წელს 12 ათას ჰექტარამდე და 1955 წელს 14 ათას ჰექტარამდე;

ბ) ასტრახანის ოლქში ვოლგა-ახტუბის ნოღაში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურებისა 1954 წელს 10,5 ათას ჰექტარამდე და 1955 წელს 12,5 ათას ჰექტარამდე;

გ) სტალინგრადის ოლქში ვოლგა-ახტუბის ნოღასა და მდინარე ვოლგის შენაკადთა ნოღებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურებისა 1954 წელს 6,6 ათას ჰექტარამდე და 1955 წელს 9,1 ათას ჰექტარამდე;

დ) რიაზანის ოლქში მდინარე ოკისა და მის შენაკადთა ნოღებში ბოსტნეული კულტურებისა 1954 წელს 5,8 ათას ჰექტარამდე და 1955 წელს 8 ათას ჰექტარამდე;

ე) უკრაინის სს რესპუბლიკაში მდინარეების ლუგანკის, ირპენის, აიდარისა და სხვ. ნოღებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურებისა 1954 წელს 29,2 ათას ჰექტარამდე, 1955 წელს 33,3 ათას ჰექტარამდე.

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრომ, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ, ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ 1954-1955 წლების განმავლობაში მოაწყონ სამრეწველო საწარმოების მიერ გამოყენებული წყლების გაწმენდა და არ დაუშვან ამ წყლებით იმ მდინარეების, გუბურებისა და წყალსატევების გაჭუჭყიანება, რომლებსაც ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარწყავად იყენებენ.

5. დაწესდეს, რომ 1953 და 1954 წლებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესებისათვის საჭირო მინერალური სასუქები კოლმეურნეობებს ეძლევათ სესხად იმ პირობით, რომ შემდეგ ნატურით აანაზღაურებენ მიმდინარე წლის მოსავლის კარტოფილით ან ერთ-ერთი ბოსტნეული კულტურით ერთ ტონა სასუქში შემდეგი რაოდენობით (კილოგრამობით):

	სულფატ ამონიუმი	ამონიუმის გვარჯილა	ფოსფორიტის ფქვილი	სუპერფოსფატი	ქლორკალიუმი	კალიუმის მარილი	დაფქული კირი
კარტოფილი	560	950	84	340	224	160	40
კომბოსტო	650	1100	100	400	260	185	50
ხახვი	125	200	20	70	60	40	10

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება მრეწველობისაგან მიღებული მინერალური სასუქების ღირებულების გადახდის წესის შესახებ, სასუქების ღირებულების გადახდის თაობაზე კოლმეურნეობებისათვის ანგარიშების ჩაბარების წესისა და მიღებული მინერალური სასუქების ნატურალური ანაზღაურებისას ერთი ბოსტნეული კულტურის მეორით შეცვლის ეკვივალენტების შესახებ. დაწესდეს, რომ მინერალური სასუქების გაცემა კოლმეურნეობათა სურვილისამებრ შეიძლება წარმოებდეს ფულადაც მოქმედი პირობებით.

დაევალოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს „სოიუზსელხოზავტოტრანსს" მინერალური სასუქების გაზიდვა სახელმწიფო საწყობებიდან და მტს-ებსა და კოლმეურნეობებს — ამ სასუქების შეტანა მინდვრად.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დააწესოს კოლმეურნეობებში მინერალური სასუქების შეზიდვისა და მინდვრად მათი შეტანის ნატურალური ანაზღაურების განაკვეთები.

6. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინიტროს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ღონისძიებანი კარტოფილის ჯიშიანი თესლის წარმოების საქმის გასაუმჯობესებლად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყველაზე მოსავლიანი დარაიონებული ჯიშებისა და განსაკუთრებით საადრო კარტოფილის გავრცელებისა და დანერგვის დასაჩქარებლად, რათა 1957 წელს სავსებით გადავიდეთ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯიშიანი კარტოფილის თესვაზე.

კარტოფილის სათესლე ხარისხის გაუმჯობესებისა და საადრეო ჯიშების მაღალხარისხოვანი სათესლე კარტოფილის ფონდების გადიდების მიზნით, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ველიან და ტყეველიან რაიონებში უფრო ფართოდ გამოიყენონ სათესლე კარტოფილის მოსაყვანად ზაფხულში თესვის წესი და შეძლებისამებრ თესონ იგი სარწყავ მიწებში. კარტოფილის სათესლე ნაკვეთებისათვის ფართოდ გამოიყენონ ტორფოვანი ნიადაგები, ხოლო მინერალურ ნიადაგებზე კარტოფილის სათესლე ნაკვეთები კარგად დაამუშაონ ორგანული სასუქებით.

დამტკიცდეს 1954 წლის მოსავლის ძირითადი ბოსტნეული კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმა: კომბოსტოს თესლი — 720 ცენტნერი, კიტრისა — 11.000 ცენტნერი, პამიდორისა — 550 ცენტნერი, ხახვისა — 10.600 ცენტნერი, სტაფილოსი — 7.000 ცენტნერი, სუფრის ჭარხლისა — 11.000 ცენტნერი.

1955 წელს ბოსტნეულის ჯიშიანი თესლის სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი აყვანილ იქნას: კომბოსტოსი 1.000 ცენტნერამდე, ხახვისა 5.600 ცენტნერამდე, სტაფილოსი 4.000 ცენტნერამდე, სუფრის ჭარხლისა 7.200 ცენტნერამდე, პარკოსნებისა 20.000 ცენტნერამდე და თვის ბოლოკისა 700 ცენტნერამდე.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შესაბამისად გაადიდოს ბოსტნეული კულტურების ჯიშიანი თესლის სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის გადიდების ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების ოდენობა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ 1954-1955 წლებში გაითვალისწინოს „სორტსემოვოშჩის" სისტემაში ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და საკვები ძირხვენების ჯიშიანი თესლის შესანახავი საწყობების მშენებლობა საჭირო რაოდენობით.

7. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1954 წლის 1 იანვრიდან საშუალოდ 12 პროცენტით შეამცირონ ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების ჯიშიანი თესლის მოქმედი გასაცემი ფასები.

8. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, პენზის, გორკის, იაროსლავლის, რიაზანის, ბრიანსკის, კურსკის საოლქო აღმასკომებსა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს მიიღონ ზომები ხახვის მომყვანი რაიონების — ბესონოვკის, არზამასის, როსტოვის, სპასკის, პოგარის, ბორისოვის, მარკოვის, კომაროვკის, ბალაკლეისა და პავლოგრადის რაიონების კოლმეურნეობებში ხახვის მოყვანის გასაადიდებლად.

9. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, პენზის, გორკის, იაროსლავლის, რიაზანის, ბრიანსკისა და კურსკის საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ 1953-1954 წლებში ხახვის მომყვან რაიონებში ხახვსაცავების მშენებლობა საჭირო რაოდენობით.

ცენტროსოიუზმა 1954-1955 წლების გეგმებში გაითვალისწინოს 11,8 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქნის გამოყოფა ხახვსაცავების მშენებლობისათვის, მათ შორის: პენზის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 1954 წელს 1.900 კუბური მეტრისა და 1955 წელს 1.500 კუბური მეტრისა, გორკის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 1954 წელს 1.100 კუბური მეტრისა და 1955 წელს 1.100 კუბური მეტრისა, იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 800, რიაზანის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 900, ბრიანსკის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 600 და კურსკის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 800 კუბური მეტრისა ყოველწლიურად.

10. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ სახალხო-სამეურნეო გეგმით 1953 წლისათვის გათვალისწინებულ დავალებათა შესრულება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობის დარგში და 1954-1955 წლებში სათბურებისა და კვალსათბურების მოწყობა და მშენებლობა აიყვანონ შემდეგ ოდენობამდე:

	სათბურები (ათასი ჩარჩო)		კვალსათბურები (ათასი კვ. მეტრი)	
	მოწყობა	მშენებლობა	მოწყობა	მშენებლობა
კოლმეურნეობებში				
1954 წელი	7.567	2.443	332,5	181
1955 წელი	10.030	2.468	491,4	240,1
სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში				
1954 წელი	1.300	330	150	70
1955 წელი	1.521	370	220	119
სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში				
1954 წელი	330	16	32	3
1955 წელი	345	20	35	3

ბ) რჩევა მიეცეს სამრეწველო საწარმოებს შეფობის წესით დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობაში, ისე რომ არ შეფერხდეს თვით მათი პროგრამის შესრულება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე მათთან დადებული ხელშეკრულებებით;

გ) სათბურების სამსახურის ვადის გადიდების მიზნით ფართოდ დაინერგოს საგარეუბნო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბეტონისა და სხვა დიდხანს გამძლე მასალებისაგან სათბურის ქვაბულების მშენებლობა;

დ) უზრუნველყოფილი იქნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათბურებისა და კვალსათბურების ორთქლით, წყლითა და ელექტრობით გათბობის ფართოდ დანერგვა;

ე) თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ დაინერგოს წარმოებაში ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანა ტორფ-ნეშომპალიან ქოთნებში და, 1954 წლიდან დაწყებული, უზრუნველყოფილ იქნას ტორფ-ნეშომპალიანი ქოთნების დამზადება და მათში ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანა. ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა მისცენ კოლმეურნეობებს ტორფ-ნეშომპალიანი ქოთნების დამზადების დავალებანი და მოაწყონ ამ დავალებათა შესრულების კონტროლი.

11. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს მიაწოდოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 2 მილიონი სასათბურე ჩარჩო 1954 წელს და 2 მილიონი სასათბურე ჩარჩო 1955 წელს ბოსტნეული კულტურების მოყვანის მიზნით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდად.

12. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1954 და 1955 წლების გეგმებში იმის გათვალისწინება, რომ გამოუყოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისათვის და ცენტროსოიუზს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად ბოსტნეულის კვალსათბურებისა და სათბურების მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობა და მასალები.

13. დაევალოს მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, მოლოტოვის, ივანოვოს, ნოვოსიბირსკის, როსტოვის, ირკუტსკის, ტულისა და კემეროვოს საოლქო აღმასკომებს, კრასნოდარისა და ალტაის სამხარეო აღმასკომებს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტროგენერატორების გაითვალისწინოს 11,8 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქნის გამოყოფა ხახვსაცავების მშენებლობისათვის, მათ შორის: პენზის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 1954 წელს 1.900 კუბური მეტრისა და 1955 წელს 1.500 კუბური მეტრისა, გორკის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 1954 წელს 1.100 კუბური მეტრისა და 1955 წელს 1.100 კუბური მეტრისა, იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 800, რიაზანის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 900, ბრიანსკის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 600 და კურსკის ოლქის კოლმეურნეობებისათვის 800 კუბური მეტრისა ყოველწლიურად.

10. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ სახალხო-სამეურნეო გეგმით 1953 წლისათვის გათვალისწინებულ დავალებათა შესრულება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობის დარგში და 1954-1955 წლებში სათბურებისა და კვალსათბურების მოწყობა და მშენებლობა აიყვანონ შემდეგ ოდენობამდე:

	სათბურები (ათასი ჩარჩო)		კვალსათბურები (ათასი კვ. მეტრი)	
	მოწყობა	მშენებლობა	მოწყობა	მშენებლობა
კოლმეურნეობებში				
1954 წელი	7.567	2.443	332,5	181
1955 წელი	10.030	2.468	491,4	240,1
სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში				
1954 წელი	1.300	330	150	70
1955 წელი	1.521	370	220	119
სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში				
1954 წელი	330	16	32	3
1955 წელი	345	20	35	3

ბ) რჩევა მიეცეს სამრეწველო საწარმოებს შეფობის წესით დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობაში, ისე რომ არ შეფერხდეს თვით მათი პროგრამის შესრულება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე მათთან დადებული ხელშეკრულებებით;

გ) სათბურების სამსახურის ვადის გადიდების მიზნით ფართოდ დაინერგოს საგარეუბნო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბეტონისა და სხვა დიდხანს გამძლე მასალებისაგან სათბურის ქვაბულების მშენებლობა;

დ) უზრუნველყოფილი იქნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათბურებისა და კვალსათბურების ორთქლით, წყლითა და ელექტრობით გათბობის ფართოდ დანერგვა;

ე) თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ დაინერგოს წარმოებაში ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანა ტორფ-ნეშომპალიან ქოთნებში და, 1954 წლიდან დაწყებული, უზრუნველყოფილ იქნას ტორფ-ნეშომპალიანი ქოთნების დამზადება და მათში ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანა. ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა მისცენ კოლმეურნეობებს ტორფ-ნეშომპალიანი ქოთნების დამზადების დავალებანი და მოაწყონ ამ დავალებათა შესრულების კონტროლი.

11. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს მიაწოდოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 2 მილიონი სასათბურე ჩარჩო 1954 წელს და 2 მილიონი სასათბურე ჩარჩო 1955 წელს ბოსტნეული კულტურების მოყვანის მიზნით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაყიდად.

12. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1954 და 1955 წლების გეგმებში იმის გათვალისწინება, რომ გამოუყოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისათვის და ცენტროსოიუზს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად ბოსტნეულის კვალსათბურებისა და სათბურების მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობა და მასალები.

13. დაევალოს მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, მოლოტოვის, ივანოვოს, ნოვოსიბირსკის, როსტოვის, ირკუტსკის, ტულისა და კემეროვოს საოლქო აღმასკომებს, კრასნოდარისა და ალტაის სამხარეო აღმასკომებს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტროგენერატორების მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიებით, დაკრედიტება წარმოებდეს ჩამოთვლილი საჭიროებებისათვის ფულადი დანახარჯის 100 პროცენტის რაოდენობით.

16. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებით კოლმეურნეთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს — იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, საერთო კრებების გადაწყვეტილებით ავანსად მისცენ კოლმეურნეებს კარტოფილისა და ბოსტნეულის რეალიზაციით შემოსული ფულადი სახსრების 25 პროცენტამდე. კოლმეურნეებისათვის აღნიშნული ავანსის მიცემა წარმოებდეს ყოველთვიურად 15-მდე პროცენტის რაოდენობით ყველა შრომადღეზე, რაც გამომუშავებულია საზოგადოებრივ მეურნეობაში წლის დამდეგიდან, და 10 პროცენტამდე იმ შრომადღეებზე, რაც გამომუშავებულია მებოსტნეობასა და მეკარტოფილეობაში, ამასთან დაწესდეს, რომ ავანსი ფულადი სახსრების საბოლოო განაწილებისას არ მცირდება.

სახელმწიფო ბანკმა კოლმეურნეობათა მოთხოვნით ფულადი სახსრები კოლმეურნეობათა მიერ მებოსტნეობისა და მეკარტოფილეობისაგან მიღებული ყველა ფულადი შემოსავლის 25 პროცენტამდე გადარიცხოს განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე, საიდანაც კოლმეურნეობებს შეუძლიათ ფული ხარჯონ მხოლოდ შრომადღეებზე გასანაწილებლად, ამ დადგენილების შესაბამისად.

17. შემცირდეს, 1953 წლის მოსავლით დაწყებული, კარტოფილის, კომბოსტოს, ხახვის, კიტრის, სტაფილოს, სუფრის ჭარხლისა და პამიდორის სავალდებულო ჩაბარების მოქმედი ნორმები, რომლებიც დაწესებულია კოლმეურნეობებისათვის, აგრეთვე კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების ნორმები, რომლებიც დაწესებულია საკოლმეურნეო კომლებისა და მუშათა, მოსამსახურეთა მეურნეობებისათვის;

უფლება მიეცეს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს 1953 წლის მოსავლიდან კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების იმ გეგმის საფუძველზე, რომელიც ამ დადგენილებით არის დაწესებული, 5 დღის ვადაში დაამტკიცონ რაიონებისა და კოლმეურნეობების მიხედვით 1953 წლისათვის კარტოფილის, კომბოსტოს, ხახვის, კიტრის, სტაფილოს, სუფრის ჭარხლისა და პამიდორის სავალდებულო ჩაბარებათა ახალი შემცირებული ნორმები, აგრეთვე საკოლმეურნეო კომლებისა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების ნორმები.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს შეიმუშაონ და ერთი თვის ვადაში წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის, კომბოსტოს, ხახვის, კიტრის, სტაფილოს, სუფრის ჭარხლისა და პამიდორის სავალდებულო ჩაბარებათა ახალი რაიონობრივი ნორმები, კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებათა მოცულობის მიხედვით, აგრეთვე საკოლმეურნეო კომლების მიერ კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების ნორმები.

კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებათა ახალი რაიონობრივი ნორმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნას შემდეგი:

ა) კარტოფილის ხაზით — არ იქნას დაშვებული დიდი გადახვევა ნორმების ოდენობაში იმ რაიონებისათვის, რომლებსაც ამ კულტურის მოყვანის დაახლოებით თანაბარი პირობები აქვთ, ხოლო იმ რაიონების სავალდებულო ჩაბარებათა ნორმები, რომლებიც ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და კარტოფილგადამმუშავებელი საწარმოების ახლოს მდებარეობენ, მხოლოდ რამდენადმე უნდა აღემატებოდეს სხვა რაიონების ნორმებს. სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი ნორმები, როგორც წესი, ერთნაირი უნდა იყოს რაიონის ყველა კოლმეურნეობისათვის;

ბ) ბოსტნეულის ხაზით — გათვალისწინებულ იქნას ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და ბოსტნეულგადამმუშავებელი საწარმოების ახლოს მდებარე ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების თავისებურებანი, აგრეთვე იმ რაიონებისა და კოლმეურნეობების თავისებურებანი, რომლებსაც სარწყავ და ნოღა მიწებზე ბოსტნეულის მოყვანის უკეთესი პირობები აქვთ, დაწესდეს მათთვის რამდენადმე დიდი ნორმები სხვა რაიონებთან და კოლმეურნეობებთან შედარებით;

გ) განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებათაგან შორეული რაიონების კოლმეურნეობები, რომელთაგან კარტოფილისა და ბოსტნეულის მიწოდება მოხმარების ადგილებში დიდ ხარჯებს იწვევს გადაზიდვის დროს.

აეკრძალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კარტოფილის, კომბოსტოს, კიტრის, პამიდორის, ხახვის, სტაფილოს და სუფრის ჭარხლის სავალდებულო ჩაბარებათა იმ ჰექტარობრივი ნორმების შეცვლა, რომლებიც კოლმეურნეობებისათვის არის დამტკიცებული, აგრეთვე კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებათა ხაზით ისეთი დავალებების მიცემა კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც დაწესებულ ნორმებს აღემატება.

18. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების დარგში კოლმეურნეობათა აგრონომიული მომსახურების გაუმჯობესებას მიზნით დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს იმ მტს-ების შტატში, რომლებიც მდებარეობენ განვითარებული მებოსტნეობისა და საბათბურო-საკვალსათბურო მეურნეობის რაიონებში, დამატებით შემოიღოს თანამდებობა მტს-ის მთავარი აგრონომის მოადგილისა მებოსტნეობაში, დაუწესოს მას ხელფასის განაკვეთი მტს-ის მთავარი აგრონომის განაკვეთზე 10 პროცენტით ნაკლები, ხოლო იმ კოლმეურნეობებში სამუშაოდ, რომლებსაც კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესების დიდი ფართობები, აგრეთვე საბათბურო-საკვალსათბურო მეურნეობა აქვთ, შემოიღოს მტს-ის მებოსტნე აგრონომის თანამდებობა და ხელფასის ანაზღაურების მხრივ გაუთანაბროს იგი მტს-ის საუბნო აგრონომს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში დააწესონ მტს-ებში მებოსტნე აგრონომების თანამდებობათა რაოდენობა.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამანისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, 1953 წლით დაწყებული, მოაწყონ მომზადება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ოსტატებისა, რომლებიც იმუშავებენ ბოსტნეულისა და ჩითილის გამოსაყვანად დახურულ გრუნტში.

19. დაევალოს საოლქო, სამხარეო აღმასკომებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს ყოველი ღონისძიებით წაახალისონ ინდივიდუალური მებოსტნეობა, მოაწყონ საბჭოთა მეურნეობებში, დამხმარე და სხვა მეურნეობებში კომბოსტოს, პამიდორისა და სხვა ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანა ტორფ-ნეშომპალიან ქოთნებში და მისი მიყიდვა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ინდივიდუალურ ბოსტნებში დასარგავად; მებოსტნეებს დაფასოვებული სახით მიჰყიდონ მინერალური სასუქები, შხამქიმიკატები ბოსტნეული კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე ხელის წვრილი ინვენტარი.

II.

1953-1955 წლებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის და მოსავლის აღების სამუშაოთა მექანიზაციის და სათოხნი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების გაზრდების შესახებ

20. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტი

1953-1955 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გაზრდების ღონისძიებათა და დამზადების შესახებ

(გაგრძელება)

	1954 წელი		1955 წელი	
	კოლმეურნეობებში	საბჭოთა მეურნეობებში	კოლმეურნეობებში	საბჭოთა მეურნეობებში
კარტოფილის დარგში				
თესვა	45	80	80 — 90	95
მწკრივთა შორის დამუშავება	65	90	80 — 90	95
მოსავლის აღება				
ბოსტნეულის დარგში				
თესვა	40	80	80 — 90	95
ჩითილის დარგვა	50	80	80 — 90	95
მწკრივთა შორის დამუშავება	35	80	70 — 80	95
	70	85	80 — 90	95

21. დამტკიცდეს იმ მანქანებისა და იარაღების სია, რომლებიც საჭიროა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის ძირითად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის.

22. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს სოფლის მეურნეობის აღჭურვისათვის შემდეგი იარაღ-მანქანების წარმოება, რომლებიც შემოწმებულ იქნა კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად და ასაღებად:

ოთხმწკრივიანი კვადრატულ-ბუდობრივი კარტოფილსათესი სკგ-4;

ოთხმწკრივიანი კულტივატორი — მიწის შემოსაყრელი კონ-2,8 პ მინერალური სასუქის შესატანი სამარჯვით;

ხტზ-7 ტრაქტორის კულტივატორი — მცენარემკვებავი კრნ-2,8;

კარტოფილის ასაღები კომბაინი კკრ-2;

ორმწკრივიანი ფოჩგასაცლელი აპარატი აბნ-2;

ხტზ-7 ტრაქტორის ბოსტნეულის სათესი მანქანა სონ-2,8;

ჩითილსარგავი მანქანა სრნ-4 ტორფნეშომპალიან ქოთანში გამოყვანილი ჩითილის კვადრატული რგვილისათვის;

ტორფნეშომპალიანი ქოთნების საკეთებელი ჩარხი მექანიზებული მიწოდებითა და იგ-9 საზელით;

ხტზ-7 ტრაქტორის საფრქვევ-სასხურებელი ონკ;

საწვიმარი დანადგარი დდპ-30 ს;

„უნივერსალ-2“ ტრაქტორის საკიდი უნივერსალური სატვირთავი ნნ-0,3;

ხტზ-7 ტრაქტორის ნაკელის მოსაყრელი ნტ-1;

„უნივერსალ-2“ ტრაქტორის ნაკელის მოსაყრელი ნტ-2;

ნაკელის, ტორფის, მინერალური სასუქისა და კირის უნივერსალური მოსაყრელი ტურ-7;

ავტოწუნწუხსაფრქვევი ანქ-2 თხევადი ორგანული სასუქებისა და მინერალური სასუქის ხსნარის შესატანად;

ავტოთვითსაცლელები ზის - 585 და გაზ-93 გადიდებული ტევადობის ძარებით ბოსტნეულისა და კარტოფილის გადასაზიდავად.

23. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და მანქანათმშენებლობის სამინისტროს წინადადება, რომ დაიწყოს კდპ-35 მუხლუხა სათოხნი ტრაქტორის წარმოება.

24. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს აღმოფხვრას 1953 წელს კდპ-35 ტრაქტორში კონსტრუქციული და საწარმოო ნაკლოვანებანი. დადგას, 1954 წლის III კვარტალით დაწყებული, კდპ-35 ტრაქტორებზე ტრაქტორ „ბელარუსის“ ჰიდრავლიკურ ამწეებთან უნიფიცირებული ჰიდრავლიკური ამწეები. მიაწოდოს კდპ-35 ტრაქტორებისათვის ნორმალური სიგანის მუხლუხების დამატებითი კომპლექტი.

25. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს გააკეთოს და 1954-1955 წლებში მიაწოდოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, მათ შორის ბამბის ასაღები მანქანების დასაკომპლექტებლადაც, შემდეგი მარკებისა და რაოდენობის სათოხნი ტრაქტორები:

	1954 წელი	1955 წელი
„უნივერსალი“	18.200	19.000
კდპ-35	10.340	17.000
ხტზ-7	10.500	18.000
„ბელარუსი“	10.000	15.000

26. დაევალოს თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს:

ა) მოაწყოს თავის ქარხნებში მანქანათმშენებლობის სამინისტროს ნახაზებით „ბელარუს“ სათოხნი ტრაქტორების წარმოება კომპლექტურად ჰიდროამწეებითა და ამ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების საჭირო რაოდენობით;

ბ) უზრუნველყოს 1954 წელს 5 ათასი „ბელარუს“ სათოხნი ტრაქტორის და 1955 წელს 10 ათასი ამ ტრაქტორის გამოშვება;

გ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ერთი თვის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი „ბელარუს“ ტრაქტორების წარმოების მოსაწყობად და წინადადებანი 1953 წელს დამატებით კაპიტალდაბანდებათა შესახებ.

27. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს უზრუნველყოს 1955 წლის დამლევისათვის შექმნა სიმძლავრეებისა წელიწადში „ბელარუს“, ხტზ-7, კდპ-35, კდ-35 მარკების 61 ათასი ტრაქტორის გამოსაშვებად.

28. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს სათოხნი ტრაქტორების წარმოების სათობი აპარატურით უზრუნველსაყოფად ააგოს ალტაის სატრაქტორო ქარხანაში სათბობი აპარატურის საამქრო წელიწადში 40 ათასი კომპლექტის გამოსაშვებად და შრომატევადობის მიხედვით მათი 200 პროცენტი სათადარიგო ნაწილების გამოსაშვებად.

29. კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანისა და მოსავლის აღების სამუშაოთა მექანიზაციის იმ დონის მისაღწევად, რომელიც ამ დადგენილებით არის დაწესებული, დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს და საავიაციო მრეწველობის სამინისტროს დაამზადონ მანქანათმშენებლობის სამინისტროს ნახაზების მიხედვით და მიაწოდონ 1954-1955 წლებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მანქანები შემდეგი რაოდენობით:

	(ცალობით) 1954 წელი	1955 წელი
მანქანათმშენებლობის სამინისტრო		
კარტოფილსათესი სკგ-4 კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის	20000	25000
კონ-2,8 პ კულტივატორი — მიწის შემოსაყრელი სასუქის შესატანი სამარჯვით	12000	18000
კარტოფილის ასაღები კომბაინი კოკ-2	4000	4000
კარტოფილის ასაღები კომბაინი კკრ-2	6000	12000
საკიდი ბოსტნეულ სათესი სონ-2,8	6000	6000
ჩითილსარგავი მანქანა სრნ-4	5000 *	7500
ჩითილსარგავი მანქანა სრ-6 მ	2000	2000
კულტივატორი-მცენარემკვებავი კრნ-2,8	10000	12000
ხტზ-7 ტრაქტორის საფრქვევ-სასხურებელი ონკ	2000	3000
სასუქმოსაყრელი ტრ-1	5000	10000
გადიდებული მოცულობის ძარიანი ავტოთვითსაცლელი	15000	25000
მარცვალბოსტნეულის სათესი სოდ-24	3000	5000
თავდაცვის მრეწველობის სამინისტრო		
ტორფ-ნეშომპალიანი ქოთნების საკეთებელი დაზგა იგ-9	2500	3500
საწვიმებელი დანადგარი დდპ-30 ს	2000	3000
საავიაციო მრეწველობის სამინისტრო		
ნაკელმტვინთავი	2500	5000
მათ შორის ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის კონსტრუქციისა	1500	2000
კარტოფილის ასაღები კომბაინი კკრ-2	5000	9000
სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო		
ნაკელმოსაყრელი	4000	11000

*) აქედან 1954 წლის I კვარტალში 1.600 ცალი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ თავისი საჭიროებისათვის 1954-1955 წლებში თავის ქარხნებში დაამზადოს 10 ათასი ავტოწუნწუხსაფრქვევი, აქედან 1954 წელს 3 ათასი და 1955 წელს — 7 ათასი ავტოწუნწუხსაფრქვევი.

30. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაამთავროს კონსტრუქცია და მოაწყოს, 1954 წლით დაწყებული, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კონსტრუქციის კომბოსტოს ასაღები მანქანებისა და გომელის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანასთან არსებული სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქციის ნაკელის, ტორფის, მინერალური სასუქებისა და კირის უნივერსალური მოსაყრელები ტურ-7, უზრუნველყოს 1954-1955 წლებში კომბოსტოს ასაღები 6.000 მანქანისა და 4.000 უნივერსალური მოსაყრელის დამზადება.

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ ორი კვირის ვადაში წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი წელიწადში 15-20 ათასი ცალი სატრაქტორო თვითსაცლელი მისაბმელების წარმოების ორგანიზაციის შესახებ და ერთი თვის ვადაში — წინადადებანი მტს-ებში არსებული 2-მწკრივიანი კარტოფილსათესების 4-მწკრივიანებად გადაკეთების შესახებ, რომლებიც მომარჯვებულ იქნებ კვადრატულ-ბუდობრივი წესით კარტოფილის სათესად.

31. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს:

ა) გააძლიეროს მუშაობა კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის მექანიზაციისათვის საჭირო ახალი მანქანებისა და იარაღების კონსტრუირების დარგში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ რაც შეიძლება მალე შეიქმნას კარტოფილასაღები კომბაინები მძიმე ნიადაგებში სამუშაოდ, კარტოფილდამხარისხებლები მექანიზებული დატვირთვით და გადმოტვირთვით, ბოსტნეული კულტურების სათესი მანქანები კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის, მანქანები კომბოსტოს და ძირხვენების მოსავლის ასაღებად, მანქანები დახურული გრუნტის მებოსტნეობისათვის, დასატვირთავი და გადმოსატვირთავი მექანიზმები, დიდი წარადობის საწვიმებელი დანადგარები, ორგანული სასუქების შესატანი მანქანები.

დაამტკიცოს პირველი რიგის საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა 1953-1954 წლების გეგმა კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად და მოსავლის ასაღებად ახალი მანქანების შემუშავების დარგში;

ბ) შეუდგეს 1954 წელს კარტოფილის მოსაყვანი და ასაღები მანქანების ქარხნის მშენებლობას, რომლის წლიური პროდუქციის ღირებულება უდრიდეს 150-200 მილიონ მანეთს.

ქარხნის მშენებლობა დაეკისროს ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს.

ბელორუსიის სსრ მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და მინისტრთა საბჭომ ერთი თვის ვადაში წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი ამ ქარხნის მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ.

32. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას შესრულება კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანი და ასაღები მანქანების და ამ მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოებას გეგმისა, რომელიც ამ დადგენილებით არის დაწესებული, აგრეთვე იმისათვის, რომ მოეწყოს ტრაქტორის მისაბმელთა წარმოება, დაევალოს ქვემოდასახელებულ სამინისტროებს გადასცენ მანქანათმშენებლობის სამინისტროს 1953 წლის 1 ივლისის ბალანსით:

საავიაციო მრეწველობის სამინისტრომ — საქვაბე-მექანიკური ქარხანა;

გზათა სამინისტრომ — ლიეპაიისა და სერდოვსკის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნები;

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ — ქარხანა № 2;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ — ომსკის სარემონტო ქარხანა.

დაევალოს სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, გზათა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს იმ სამრეწველო პროდუქციის წარმოება, რომელიც 1953 წლის IV კვარტალის გეგმით დაწესებულია აღნიშნული ქარხნებისათვის, გაანაწილონ ამ სამინისტროების სხვა საწარმოებზე.

33. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს მოაწყოს ტულის კომბაინის ქარხანაში კკრ-2 მარკის კარტოფილასაღები კომბაინის წარმოება 15 ათასი ცალი წლიური სიმძლავრით, ამასთან შეწყვიტოს ამ ქარხანაში მარცვლეულის ს-4 თვითმავალი კომბაინების დამზადება.

34. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაამზადოს და დამატებით მიაწოდოს 1953 წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს: 1.500 ტრაქტორი კდპ-35, 300 ტრაქტორი „უნივერსალი“, 800 ტრაქტორი ხტზ-7, 500 საკიდი ბოსტნეულსათესი სონ-2,8, 200 ჩითილსარგავი მანქანა სრნ-4, 1.500 კარტოფილსათესი სკგ-4 კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის, 1.000 კარტოფილის ასაღები კომბაინი კოკ-2, 500 მიწის შემოსაყრელი კულტივატორი კონ-2,8, 500 კულტივატორი-მცენარე — მკვებავი კრნ-2,8 და ხტზ-7 ტრაქტორის 500 საფრქვევ-სასხურებელი ონკ.

35. დაევალოს მშენებლობის სამინისტროს:

ა) 1953 წელს დამატებით შეასრულოს ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობაზე 5 მილიონი მანეთის მოცულობის საიჯარო სამუშაოები, რისთვისაც შესაბამისად შეამციროს 1953 წელს საიჯარო სამუშაოთა მოცულობა მანქანათმშენებლობის სამინისტროს სხვა მშენებლობებზე ამ სამინისტროსთან შეთანხმებით;

ბ) 1953 წელს შეასრულოს ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში 1953 წლისათვის დაწესებულ საიჯარო სამუშაოთა გეგმის ანგარიშში № 3 მექანიკურ-ამწყობი კორპუსის მშენებლობის სამუშაოები და უზრუნველყოს კორპუსის სამონტაჟოდ გადაცემა 1954 წლის II კვარტალში;

გ) 1953 წელს დამატებით შეასრულოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მანქანათმშენებლობის სამინისტროს საიჯარო სამუშაოთა საერთო გეგმის ანგარიშში 5,5 მილიონი მანეთის მოცულობით, მათ შორის: ბელინსკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში — 1 მილიონი მანეთისა, ქარხანა „კრასნაია ზვეზდაში“ — 2 მილიონი მანეთისა, „კრასნაია აქსაიში“ — 1 მილიონი მანეთისა, აგრეთვე განაახლოს ობიექტების მშენებლობა რიაზანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში და შეასრულოს 1953 წელს 1,5 მილიონი მანეთის მოცულობის სამუშაოები.

36. დაევალოს მშენებლობის სამინისტროს, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს და მანქანათმშენებლობის სამინისტროს უზრუნველყონ 1954-1955 წლებში სატრაქტორო ქარხნებში ამ დადგენილებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

37. დაევალოს სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მიაწოდონ დამატებით 1953 წელს მანქანათმშენებლობის სამინისტროს სატრაქტორო ქარხნებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებისათვის მოწყობილობა და მანქანები ამ დადგენილების შესაბამისად.

მანქანათმშენებლობის სამინისტროს უფლება მიეცეს გამოიყენოს 1953 წელს საკუთარი წარმოების მოწყობილობა სატრაქტორო ქარხნებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული რაოდენობით.

38. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მანქანათმშენებლობის სამინისტროს 1954-1955 წლების გეგმებში გაითვალისწინონ მოქმედი სატრაქტორო ქარხნების მშენებლობის დამთავრებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 750 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან 350 მილიონი მანეთი 1954 წლისათვის.

39. დაევალოს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს გაანაწილოს დაკვეთები საზღვარგარეთ მანქანათმშენებლობის სამინისტროსათვის 1954 წელს სამჭედლო-საწნეხი, ლაბორატორიული და სხვა მოწყობილობის მისაწოდებლად.

40. დაევალოს სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროსა და მშენებლობის სამინისტროს გაითვალისწინონ 1954 წლის გეგმებში მანქანათმშენებლობის სამინისტროსათვის სატრაქტორო ქარხნების მოწყობილობის მიწოდება.

41. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1953 წლის 1 ივლისის ბალანსით გადასცეს მანქანათმშენებლობის სამინისტროს ივანტეევკის მექანიკური ქარხანა იმ მიზნით, რომ მის ბაზაზე მოეწყოს სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო მებოსტნეობის მექანიზაციისათვის განკუთვნილი მანქანების გამოსაშვებად და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანი საცდელი ნიმუშების მანქანების დასამზადებლად.

42. დაევალოს მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს და ქიმიური მრეწველობის სამინისტროს მიაწოდონ 1953 წელს მანქანათმშენებლობის სამინისტროს:

ა) კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანი მანქანების წარმოების დროულად მოსამზადებლად შავი ლითონების ნაგლინი, მილები, დახერხილი ხე-ტყე და ქაღალდი;

ბ) 1953 წელს სათოხნი ტრაქტორების დამატებითი წარმოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე 1954 წელს მათი წარმოებისათვის მარაგნამზადის შესაქმნელად და არასტანდარტული მოწყობილობის გამოსაშვებად — ნაგლინი, ლითონი და მასალები.

43. დაევალოს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და მანქანათმშენებლობის სამინისტროს ორი თვის ვადაში მოამზადონ და წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საწარმოების დამატებითი წარმოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე 1954 წელს მათი წარმოებისათვის მარაგნამზადის შესაქმნელად და არასტანდარტული მოწყობილობის გამოსაშვებად — ნაგლინი, ლითონი და მასალები.

43. დაევალოს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და მანქანათმშენებლობის სამინისტროს ორი თვის ვადაში მოამზადონ და წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მათი კვანძებისა და დეტალების დასამზადებლად დაკვეთების მოთავსების შესახებ.

44. დამტკიცდეს ღონისძიებანი 1954-1955 წლებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად სათოხნი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების იმ გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელიც ამ დადგენილებით არის დაწესებული.

III.

1953 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესახებ და ამ პროდუქციის დასამზადებელი ფასების გაზრდების შესახებ

45. დამტკიცდეს 1953 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შემდეგი ოდენობით:

ა) კარტოფილისა კოლმეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარებათა ხაზით — 2.685 ათასი ტონა, მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების ხაზით — 534 ათასი ტონა, კოლმეურნეობების მიერ სესხების დაბრუნების ხაზით — 240 ათასი ტონა, საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩაბარებათა ხაზით — 166 ათასი ტონა, აქედან ზემოაღნიშნულ შესატანთა ანგარიშში — 200 ათასი ტონა ჯიშიანი კარტოფილი, საკოლმეურნეო კომლთა და სხვა ინდივიდუალურ მეურნეობათა მიერ სავალდებულო ჩაბარების ხაზით — 2.090 ათასი ტონა, სულ 5.715 ათასი ტონა, გარდა ამისა, კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთაგან შესყიდვის ხაზით — 1.885 ათასი ტონა, სულ კი 7.600 ათასი ტონა;

ბ) კომბოსტო — 579,3 ათასი ტონა, ხახვი — 86,7 ათასი ტონა, კიტრი — 201,9 ათასი ტონა, სტაფილო — 130,3 ათასი ტონა, სუფრის ჭარხალი — 114,2 ათასი ტონა, პამიდორი — 521,7 ათასი ტონა, სულ ბოსტნეული 1.634,1 ათასი ტონა, გარდა ამისა, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან შესყიდვით — 668,4 ათასი ტონა, ხოლო სულ 2.302,5 ათასი ტონა.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა მიერ იმ კარტოფილის დაბრუნება, რომელიც სესხად მიღებულია 1953 წელს, და სესხის დაბრუნებაში გასული წლების იმ დავალიანების დაფარვა, რომელიც შეტანილია 1953 წლის დამზადებათა გეგმაში, ხდება პირველი მოსავლის კარტოფილით.

46. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

ა) ამ დადგენილების შესაბამისად დაამტკიცონ და ერთი დეკადის ვადაში მისცენ რაიონებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები;

ბ) გაუწიონ დამამზადებელ ორგანიზაციებს საჭირო დახმარება კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებასა და შესყიდვაში და უზრუნველყონ კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის ამ დადგენილებით დაწესებული გეგმების შესრულება;

გ) მიუჩინონ სოფლის რაიონებსა და კოლმეურნეობებს ადგილობრივი სავაჭრო განყოფილებანი, მუშათა მომარაგების განყოფილებანი და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც კარტოფილსა და ბოსტნეულს სახელმწიფო გეგმით იღებენ.

47. დაწესდეს, რომ ცენტროსოიუზის მიერ კარტოფილისა და ბოსტნეულის შესყიდვა უნდა წარმოებდეს მოქმედი ზღვრული შესასყიდი ფასებით, ხოლო კიტრისა და პამიდორის შესყიდვა შემდეგი ზღვრული შესასყიდი ფასებით: ერთი ტონა კიტრისა 450-დან 1.200 მანეთამდე, ერთი ტონა პამიდორისა 550-დან 2.000 მანეთამდე, მომყვანი რაიონების მიხედვით.

ცენტროსოიუზმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსთან ერთად 10 დღის ვადაში დაამტკიცოს კარტოფილისა და ბოსტნეულის შესყიდვის ტიპური ხელშეკრულება.

უფლება მიეცეს ცენტროსოიუზს კოლმეურნეობებთან კარტოფილისა და ბოსტნეულის შესყიდვის ხელშეკრულებათა დადებისას გასცეს ფულადი ავანსები შესყიდული პროდუქციის ღირებულების 25 პროცენტის ოდენობით. სახელმწიფო ბანკმა სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელ ორგანიზაციებს მისცეს კრედიტები აღნიშნული ავანსების გასაცემად.

48. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების შემდგომი განვითარებისა და დამზადების გადიდების მიზნით, განსაკუთრებით საგარეუბნო რაიონების კოლმეურნეობებში და სპირტის, სახამებელ-ბადაგის, სახმობი და საკონსერვო მრეწველობის ზონებში.

ა) გადიდდეს, 1953 წლის მოსავლით დაწყებული, სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი კარტოფილის, მათ შორის ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე ჩაბარებული კარტოფილის დასამზადებელი ფასები და დაწესდეს ისინი:

მოსკოვის, გორკის, ბრიანსკის, რიაზანის, კალინინის, სმოლენსკის, კიროვის, ტულის, იაროსლავლის, მოლოტოვის, ვლადიმირის, ივანოვოს, ორიოლის, კალუგის, სვერდლოვსკის, კურსკის, ვორონეჟის, კოსტრომის, ტამბოვის, ვოლოგდის, ომსკის, პსკოვის, კემეროვოს, ლენინგრადის, პენზის, ნოვგოროდის, ველიკაია ლუკის, ულიანოვსკის, ნოვოსიბირსკის, კუიბიშევის, ჩელიაბინსკის, ჩკალოვის, ირკუტსკის, კურგანის, ტიუმენის, სარატოვის, კალინინგრადისა და ტომსკის ოლქებში, თათრეთის, ბაშკირეთის, მორდვეთის, ჩუვაშეთის უდმურტეთისა და მარეთის ასს რესპუბლიკებში, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეებში, უკრაინის სსრ კიევის, ჩერნიგოვის, სუმის, ხარკოვის, პოლტავის, კამენეც-პოდოლსკის, ვინიცის, ჟიტომირის, ვოლინის, როვნოს, ტერნოპოლის, დონეცკის, ლვოვის, სტანისლავის, ჩერნოვიცის და იმიერკარპატის ოლქებში, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში 100 მანეთის ოდენობით ერთ ტონა საგვიანო კარტოფილში, ხოლო ერთ ტონა საადრეო კარტოფილში 31 ივლისამდე ჩაბარებისას — 250 მანეთი, 1-დან 15 აგვისტომდე ჩაბარებისას — 200 მანეთი და 16-დან 31 აგვისტომდე ჩაბარებისას — 125 მანეთი;

ამურის, არხანგელსკის, სახალინის, ჩიტის ოლქებში, ზღვისპირეთის მხარეში, იაკუტიისა და კომის ასს რესპუბლიკებსა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში 160 მანეთის ოდენობით ერთ ტონა საგვიანო კარტოფილში, ხოლო ერთ ტონა საადრეო კარტოფილში 31 ივლისამდე ჩაბარებისას — 250 მანეთი, 1-დან 15 აგვისტომდე ჩაბარებისას — 200 მანეთი და 16-დან 31 აგვისტომდე ჩაბარებისას — 150 მანეთი;

ხაბაროვსკის მხარეში დატოვებულ იქნას კარტოფილის დასამზადებელი ფასები, რომლებიც დაწესდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 10 იანვრის № 122 დადგენილებით.

დატოვებულ იქნას დასამზადებელი ფასის მოქმედი წანამატი კარტოფილის ჯიშიანობის, სიდიდისა და სახამებლიანობისათვის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის კარტოფილის ვადამდე ჩაბარებისათვის;

ბ) 1953 წლიდან გადიდდეს იმ ბოსტნეულის დასამზადებელი ფასები, რომელსაც კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ საავალდებულო ჩაბარების წესით, მათ შორის იმ ბოსტნეულისაც, რომელიც ჩაბარებულია ამ დადგენილების გამოსვლამდე და დაწესდეს ისინი:

პირველი ხარისხის ტონა საგვიანო ბოსტნეულისა მისი მოყვანის რაიონების მიხედვით: კომბოსტოსი 100-დან 200 მანეთამდე, ხახვისა 350-დან 1000 მანეთამდე, კიტრისა 300-დან 1.000 მანეთამდე, სტაფილოსი 130-დან 300 მანეთამდე, სუფრის ჭარხლისა 80-დან 200 მანეთამდე და პამიდორისა 350-დან 1.500 მანეთამდე.

პირველი ხარისხის ტონა საადრეო ბოსტნეულისა ჩაბარების ვადების და მოყვანის რაიონების მიხედვით: გრუნტის საადრეო კომბოსტოსი 120-დან 625 მანეთამდე, საადრეო კიტრისა 500-დან 1.100 მანეთამდე, გრუნტის პამიდორისა 600-დან 1.500 მანეთამდე, საადრეო ბოლოწაჭრილი სტაფილოსი 180-დან 500 მანეთამდე, სუფრის ბოლოწაჭრილი ჭარხლისა 90-დან 450 მანეთამდე.

დაწესდეს იმ საადრეო და საგვიანო ბოსტნეულის დასამზადებელი ფასების წანამატის ოდენობა 25-დან 50 პროცენტამდე, რომლებსაც დასამზადებელ პუნქტებს სავალდებულო ჩაბარების წესით აბარებენ იმ ქალაქების საგარე-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

1953-1955 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გაზრდის ღონისძიებათა დამზადების შესახებ

(დასასრული)

უბნო რაიონების კოლმეურნეობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, ცენტროსოიუზმა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში დააწესონ დაწნილებული და დამჟავებული ბოსტნეულის დასამზადებელი ფასები;

ბ) გავრცელდეს ყველა სამინისტროს და უწყების საბჭოთა მეურნეობებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 5 ნოემბრის № 4133 და 1952 წლის 7 ივლისის № 3070 დადგენილებათა მოქმედება სავაჭრო-დამამზადებელ ორგანიზაციებთან როგორც სავაჭრო ქსელში, ისე დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარებული კარტოფილისა და ბოსტნეულისათვის ანგარიშსწორების ნაწილში;

დ) დაწესდეს, რომ კოლმეურნეობების მიერ საზოგადოებრივი კვების მაღაზიებსა და საწარმოებში კვალსათბურ-სათბურთა ბოსტნეულის, ღია გრუნტის საადრეო მწვანილისა და საადრეო კარტოფილის ჩაბარებისას მათი ღირებულების ანაზღაურება ხდება საცალო ფასებში 25 პროცენტის დაკლებით;

ე) დაევალოს ცენტროსოიუზს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, იმ ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომლებისთვისაც მთავრობის მიერ დაწესებულია საგარეუბნო ზონა, მოაწყონ საგარეუბნო ზონის კოლმეურნეობების მიერ ბოსტნეულის ჩაბარება სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში უშუალოდ სავაჭრო ქსელსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში.

დატოვებულ იქნას მოქმედი წესი საგარეუბნო ზონების კოლმეურნეობების მიერ უშუალოდ სავაჭრო ქსელსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ჩაბარებული ახალი ბოსტნეულის ღირებულების ანაზღაურებისა სახელმწიფო საცალო ფასებში 25 პროცენტის დაკლებით მიზიდვის მანძილის განუსაზღვრელად.

დადგენილ იქნას დაწნილებული და დამჟავებული ბოსტნეულის ღირებულების ანაზღაურების ასეთივე წესი.

49. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ივლისის № 2717 და 1949 წლის 8 აგვისტოს № 3390 დადგენილებათა ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდეს კილოგრამი ნივრის დასამზადებელი ფასი ყველგან 2 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით და კილოგრამი ხახვის ზღვრული შესასყიდი ფასი 1 მანეთი და 20 კაპიკი და ნივრისა — 4 მანეთი.

50. დამტკიცდეს 1953 წლიდან კოლმეურნეობებში კარტოფილის მოსაყვანად მტს-ების მიერ გაწეულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების განაკვეთები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ დაამტკიცოს კარტოფილის მოსაყვანად მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ გაწეულ იმ სხვა სახეობის სამუშაოთა ნატურანაზღაურების განაკვეთები, რომლებიც ამ დადგენილებით გათვალისწინებული არ არის.

51. დაწესდეს კოლმეურნეობებში კომბოსტოს, სტაფილოს, სუფრის ჭარხლის, პამიდორის, ხახვისა და კიტრის მოსაყვანად მტს-ების მიერ გაწეულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების განაკვეთები.

უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებს 1953 წელს ბოსტნეული კულტურების მოყვანის სამუშაოთა ღირებულება გადაუხადონ მტს-ებს ნატურით, დაწესებული განაკვეთების მიხედვით, ან ფულად სამუშაოთა ცალკეული სახეობისათვის მოქმედ შეფასებათა მიხედვით.

52. დაევალოს ცენტროსოიუზს უზრუნველყოს კოლმეურნეებისა და სხვა ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარებათა ხაზით ჩაბარებული კარტოფილის შეუფერხებელი მიღება სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა დუქნებსა და საწყობებში ყველგან, მათ შორის სპირტისა და სახამებელ-ბადაგის ქარხნების ზონებშიც.

53. დაევალოს სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, ცენტროსოიუზს და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს უზრუნველყონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რემონტი და მომზადება კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და შენახვისათვის.

დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს დახმარება აღმოუჩინონ დამამზადებელ ორგანიზაციებს ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად საჭირო ადგილობრივი საშენი მასალების დამზადებასა და გზიდვაში, აგრეთვე საწყობების, შესანახი ადგილების შეკეთებასა და ტარის დამზადებაში.

54. დაწესდეს, რომ საავალდებულო ჩაბარებათა და მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების ანგარიშში ბოსტნეულისა და კარტოფილის დამამზადებელ პუნქტებში ჩასაბარებლად მიტანის ხარჯებს, მათი კოლმეურნეობების ტრანსპორტით ან სხვისი ტრანსპორტით გადატანის დროს, უხდიან კოლმეურნეობებს ან დაქირავებული ტრანსპორტის მფლობელთ დამამზადებელი ორგანიზაციები ავტომობილით გადაზიდვის ერთიანი ტარიფების გაანგარიშებით გადაზიდვის მთელი მანძილისათვის.

დაწესდეს დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ საავალდებულო ჩაბარებათა და მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების ანგარიშში დამამზადებელ, სადგურისპირა და გემმისადგომისპირა პუნქტებში კარტოფილისა და ბოსტნეულის გადაზიდვის ხარჯების ანაზღაურების ნორმები შემდეგი ოდენობით: კარტოფილისათვის — 18 მანეთი და ბოსტნეულისათვის — 19 მანეთი საშუალოდ ტონაში.

დაევალოს ცენტროსოიუზს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ორი კვირის ვადაში დააწესოს კარტოფილისა და ბოსტნეულის მიტანის ხარჯების ანაზღაურების დიფერენცირებული ნორმები ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით.

55. დაეკისროს ცენტროსოიუზსა და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს მოამარაგონ ბენზინითა და საცხები მასალებით კოლმეურნეობათა ავტომობილები და დამამზადებელ პუნქტებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მიზიდვაზე მომუშავე ავტოტრანსპორტი. ბენზინი და საცხები მასალები კოლმეურნეობებს მიეცეთ საბითუმო-გასაცემ ფასებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ბენზინის გამოყოფა აღნიშნული მიზნებისათვის.

56. ცენტროსოიუზის მიერ ზღვრულ შესასყიდ ფასებში შესყიდული კარტოფილი და ბოსტნეული მიეყიდოს სახელმწიფო ორგანიზაციებს ფაქტიური შესყიდვის ფასებში, მაგრამ არაუმეტეს ზღვრული შესასყიდი ფასებისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 7 ივლისის № 3071 დადგენილებით გათვალისწინებული წანამატებით.

სხვაობა სახელმწიფო საცალო ფასებსა, რომლებსაც გამოაკლდება სავაჭრო ფასდაკლება და საბითუმო ხარჯების ნორმები და ცენტროსოიუზის მიერ სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის მიწოდებული კარტოფილისა და ბოსტნეულის ფასებს შორის იმით იფარება, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს ბიუჯეტში შესაბამისად ნაკლები რაოდენობით შეაქვთ კარტოფილისა და ბოსტნეულის რეალიზაციით მიღებული დამატებითი მოგება.

57. ჩამოეწეროს კოლმეურნეობებს გასული წლების მთელი დავალიანება, რაც მათზე 1953 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებისა და კარტოფილის მოყვანაზე მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების ხაზით.

ჩამოეწეროს კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობებს სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებათა გასული წლების მთელი დავალიანება.

58. შეუმცირდეთ, დაწყებული 1953 წლის მოსავლით, საგარეუბნო რაიონებისა და სპირტის, სახამებელ-ბადაგის, სახმობი და საკონსერვო მრეწველობის ზონების კოლმეურნეობებს მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებათა ნორმები 25 პროცენტით, როცა კოლმეურნეობას კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესები სულ აქვს საერთო ნათესი ფართობის 10 პროცენტზე მეტი და არაუმეტეს 15 პროცენტისა, და 50 პროცენტით, როცა კოლმეურნეობაში არის კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესები სულ საერთო ნათესი ფართობის 15 პროცენტზე მეტი და არაუმეტეს 20 პროცენტისა. კოლმეურნეობები, რომლებსაც აქვთ კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესები სულ საერთო ნათესი ფართობის 20 პროცენტზე მეტი, სავსებით განთავისუფლებულ უნდა იქნან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან.

მარცვლეულის ჩაბარების ზემოაღნიშნული შეღავათები კოლმეურნეობებს ეძლევათ იმ პირობით, თუ მათ მთლიანად შეასრულეს მიმდინარე წლის სახელმწიფოსათვის კარტოფილის, ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებანი, ჩაბარეს კარტოფილი და ბოსტნეული მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურებისათვის და დაბრუნეს სესხად მიღებული კარტოფილი.

კოლმეურნეობების მიერ მიმდინარე წლის მარცვლეულის ჩაბარების შესრულებისას მათ ეძლევათ შეღავათი შემდგომი წლის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში.

59. მიეყიდოს სახელმწიფო საწყობებიდან ქალაქ მოსკოვის, ლენინგრადისა და დონბასის ქალაქების საგარეუბნო რაიონების კოლმეურნეობებს, აგრეთვე სხვა რაიონების კოლმეურნეობებს, რომლებიც სპეციალიზებული არიან კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, მარცვლეული ერთიან საცალო ზოლობრივ ფასებში დაწესებული ფასის 40 პროცენტის ჩამოკლებით შემდეგი ანგარიშით: 1 ცენტნერი მარცვალი ყოველ 10 ცენტნერ კარტოფილსა და ბოსტნეულში, რომელიც ჩაბარებულია საავალდებულო ჩაბარებათა და მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ანგარიშში, ხოლო შუა აზიის, ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიის, ხაბაროვსკის მხარისა და ყირიმის ოლქის რაიონებში — ანგარიშით: 1 ცენტნერი მარცვალი ყოველ 5 ცენტნერ კარტოფილსა და ბოსტნეულში.

მარცვალი, რომელიც კოლმეურნეობას ერგება მის მიერ ჩაბარებულ კარტოფილსა და ბოსტნეულში, კოლმეურნეობის სურვილით შეიძლება ჩაეთვალოს მას მიმდინარე წლის ან შემდეგი წლის მარცვლის სავალდებულო ჩაბარების და მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ანგარიშში, თუ მიმდინარე წლის მარცვლის ჩაბარება და ნატურანაზღაურება შესრულებულია.

დაწესდეს კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში სპეციალიზებულ კოლმეურნეობათათვის მარცვლის მაყიდვის ლიმიტი წელიწადში 10 მილიონი ფუთის რაოდენობით.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა ერთი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს დასამტკიცებლად კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში სპეციალიზებულ იმ კოლმეურნეობათა სიები, რომლებსაც უნდა მიეყიდოთ მარცვლეული იმ ბოსტნეულსა და კარტოფილში, რაც სახელმწიფოს ბარდება სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში.

60. 1953 წლიდან პენზის ოლქის ბესსონოვკის რაიონის, გორკის ოლქის არზამასის რაიონის, იაროსლავლის ოლქის როსტოვის რაიონის, რიაზანის ოლქის სპასკის რაიონის, ბრიანსკის ოლქის პოგარის რაიონის, კურსკის ოლქის ბორისოვკის რაიონის, უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის მარკოვკის რაიონის, ჩერნიგოვის ოლქის კომაროვკის რაიონის, ხარკოვის ოლქის ბალაკლეის რაიონის, დნეპროპეტროვსკის ოლქის პავლოგრადის რაიონის კოლმეურნეობებს ჩაეთვალოთ საავალდებულო ჩაბარების წესით მათ მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ხახვი და კონტრაქტაციის ხელშეკრულებებით ჩაბარებული კვიჭიჭა ხახვი და ხახვის თესლი მარცვლეულის ჩაბარებისა და მარცვლეული კულტურების მოსაყვანად მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებათა შესრულებაში შემდეგი ეკვივალენტებით:

1 ტონა ხახვში — 4 ცენტნერი მარცვლეული,

1 ტონა კვიჭიჭა ხახვში — 8 ცენტნერი მარცვლეული,

1 ცენტნერ ხახვის თესლში — 10 ცენტნერი მარცვლეული.

აღნიშნული ჩათვლა მოხდეს სახელმწიფოსათვის მიმდინარე წელს მარცვლეულის ჩაბარების ან, თუ მიმდინარე წლის მარცვლეულის ჩაბარება შესრულებულია, შემდეგი წლის ჩაბარების ანგარიშში.

61. დაწესდეს, რომ საგარეუბნო რაიონებისა და სპირტის, სახამებელ-ბადაგის, ბოსტნეულსახმობი და კონსერვის ქარხნების ნედლეულის ზონების კოლმეურნეობებს, რომელნიც კარტოფილსა და ბოსტნეულს მიჰყიდიან დამამზადებელ ორგანიზაციებს ზღვრულ შესასყიდ ფასებში, სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების და მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ მიეყიდოს სატვირთო ავტომობილები შემდეგი ანგარიშით: ერთი ავტომობილი ყოველ გაყიდულ 75 ტონა კარტოფილში ან 30 ტონა ხახვში, ან 50 ტონა სხვა ბოსტნეულში.

უფლება მიენიჭოს ცენტროსოიუზს 1953 წელს მიჰყიდოს კოლმეურნეობებს აღნიშნულ პირობებში 10 ათასი სატვირთო ავტომობილი, რომლებიც კოლმეურნეობებს მიაწოდოს 1954 წლის პირველ ნახევარში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, რომ ცენტროსოიუზს გამოეყოს აღნიშნული რაოდენობის ავტომობილები 1954 წლის I კვარტალისათვის.

62. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს აღმოფხვრან კარტოფილისა და ბოსტნეულის მეთესლეობის მუშაობის ნაკლოვანებანი და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა 1953 წლის მოსავლიდან თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მოიმარაგოს საკუთარი მაღალხარისხოვანი კარტოფილის თესლი სრული საჭიროების ოდენობით, ხოლო თვითეულმა რესპუბლიკამ, მხარემ და ოლქმა შექმნას საკუთარი სათესლე ბაზა დასამწიფებელი კულტურების ჯიშიანი ბოსტნეული თესლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

დაწესდეს 1953 წლიდან, რომ კარტოფილის სათესლე ფონდებისათვის უნდა ინახებოდეს გადარჩეული ჯიშიანი თესლი, უწინარეს ყოვლისა სათესლე ნაკვეთების მოსავალი თესვის აგროტექნიკური ნორმების მიხედვით. როცა სათესლე ნაკვეთებზე მოყვანილი სათესლედ ვარგისი კარტოფილი საკმაო რაოდენობით არ არის, შენახულ იქნას საერთო ნათესების ყველაზე მოსავლიანი ნაკვეთებიდან აღებული კარტოფილი სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების გეგმის შესრულებამდე. კარტოფილის სადაზღვევო და სხვა ფონდები შენახულ იქნას სახელმწიფოსათვის კარტოფილის საავალდებულო ჩაბარების და მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების შესრულების შემდეგ. მომავალი წლის თესვის გეგმის შესასრულებლად სათესლე კარტოფილის შენახვა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ხდება კარტოფილის მასობრივი აღების დაწყებიდან და უნდა დამთავრდეს აუცილებლად ერთი თვის ვადისა.

დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსთან და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან შეთანხმებით დაუწესონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლის აღების დაწყებამდე სათესლე კარტოფილის შენახვის გეგმა თესვის აგროტექნიკური ნორმებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დაწესებული თესვის გეგმის მიხედვით.

63. დაწესდეს, რომ როცა სანაშენო მეთესლეობის კოლმეურნეობა სახელმწიფოს საავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ანგარიშში აბარებს პირველი კატეგორიის ჯიშიან კარტოფილს, 1 ტონა ჩაბარებულ კარტოფილში კოლმეურნეობას ეთვლება 2 ტონა, ხოლო როცა აბარებს მეორე კატეგორიის ჯიშიან კარტოფილს, — ტონანახევარი.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 24 მარტის № 1200 დადგენილების პუნქტი 9, რომლითაც სანაშენო მეთესლეობის კოლმეურნეობებს უმცირდებათ სახელმწიფოსათვის კარტოფილის საავალდებულო ჩაბარების ოდენობა.

64. დამტკიცდეს 1953 წლის მოსავლის ძირითადი ბოსტნეული კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმა შემდეგი რაოდენობით: კომბოსტოსი — 550 ცენტნერი, კიტრისა — 8.000 ცენტნერი, პამიდორისა — 400 ცენტნერი, ხახვისა — 8.200 ცენტნერი, სტაფილოსი — 5.000 ცენტნერი და სუფრის ჭარხლისა — 4.500 ცენტნერი.

გადიდდეს 1953 წელს ვლადიმირის, ვორონეჟის, კურსკის, რიაზანის, ბრიანსკის, პენზის, გორკისა და ჩერნიგოვის ოლქებში შემდეგი ჯიშების კიტრის თესლის დამზადება: „მურომსსკი“ — 1.030 ცენტნერამდე, „ვიაზნიკოვსკი“ — 710 ცენტნერამდე, „ნეროსიმი“ — 1.080 ცენტნერამდე და „ნეჟინსკი“ — 520 ცენტნერამდე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ ორი კვირის ვადაში მისცეს აღნიშნული ბოსტნეული კულტურების ჯიშიანი თესლის დამზადების გეგმა ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს, აგრეთვე დააწესოს დანარჩენი ბოსტნეული კულტურების თესლის დამზადების გეგმა.

IV.

კარტოფილისა და ბოსტნეულის საკოლმეურნეო ვაჭრობის გაჩაღების შესახებ

65. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება კარტოფილითა და ბოსტნეულით და გადიდდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობა, — ფართოდ გაჩაღდეს კარტოფილისა და ბოსტნეულის საკოლმეურნეო ვაჭრობა, უფლება მიეცეთ კოლმეურნეობებს დაუბრკოლებლად გაყიდონ ნამეტი კარტოფილი ბაზარზე, აგრეთვე გაყიდონ ან საკომისიოდ გადასცენ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობები შეასრულებენ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულებებს და შეინახავენ სათესლე ფონდს, ხოლო ნამეტი ბოსტნეული — მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობები შეასრულებენ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებებს, იმისდა მიუხედავად, შესრულებულია თუ არა მთლიანად რაიონში კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების გეგმა.

66. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს გაუწიონ დახმარება კოლმეურნეობებს მათი ნამეტი კარტოფილისა და ბოსტნეულის გაყიდვაში, ამასთან მისცენ კოლმეურნეობებს დროებით სარგებლობაში საკოლმეურნეო ბაზრებზე, სადგურისპირა და ნავსადგომისპირა პუნქტებში ფარდულები და მაღაზიები, აგრეთვე სასაწყობო შენობები კარტოფილისა და ბოსტნეულის დროებით შესანახავად.

67. დაევალოს ცენტროსოიუზს მიიღოს კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ კარტოფილი და ბოსტნეული საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდად იმ ფასებში, რომლებიც შეთანხმებულია კოლმეურნეობებთან, ამასთან კოლმეურნეობებმა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს გადაუხადონ საკომისიო გასამრჯელო.

საკომისიო გასამრჯელოს ოდენობა დაწესდეს იმ ფასნამატის ნორმების დონეზე, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 7 ივლისის № 3071 დადგენილებით გათვალისწინებულია სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის საერთო დასამზადებელი და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ასანაზღაურებლად მათ მიერ ზღვრული შესასყიდი ფასებით შესყიდული პროდუქციის სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის მიყიდვის დროს, და ბითუმად და ცალობით მოვაჭრე ორგანიზაციების ხარჯების იმ ნორმების დონეზე, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 7 ივლისის № 3070 დადგენილებით.

68. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს მისცენ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს შენობები მაღაზიების, საწყობების, ბაზებისა და ბოსტნეულ-კარტოფილსაცავებისათვის ქალაქებში, მუშათა დაბებში და ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე.

69. დაევალოს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროს, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს:

ა) გეგმის გარეშე მისცენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ვაგონები და კარჭაპები კარტოფილისა და ბოსტნეულის გადასაზიდავად ტვირთების წარდგენის შემდეგ;

ბ) მიიღონ საადრეო ბოსტნეული და კარტოფილი დაჩქარებული სასაქონლო მატარებლებით გადასაზიდავად;

გ) უზრუნველყონ გამგზავნთან დადებული ხელშეკრულებებით კარტოფილისა და ბოსტნეულის საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვა რკინიგზის სადგურებსა და საცალო ქსელში.

რკინიგზების მუშაობის შედეგების შეჯამებისას ტვირთების გადაზიდვის ფაქტიური საშუალო სიშორიდან გამოირიცხოს კარტოფილისა და ბოსტნეულის გადაზიდვის საშუალო სიშორის გადამეტება.

კოლმეურნეობებს რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტი მიეცეთ, თუ მათ ექნებათ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული სამმართველოების ცნობა იმის შესახებ, რომ მათ შესრულებული აქვთ სახელმწიფოს წინაშე კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულებანი, ხოლო 1 სექტემბრის შემდეგ — იმის შესახებაც, რომ მათ შენახული აქვთ კარტოფილის სათესლე ფონდები.

70. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს:

ა) სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს კოლმეურნეობებთან იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის ანგარიშის გასასწორებლად, რომლებიც მიღებულია საკომისიოდ სხვა ქალაქებში რეალიზაციისათვის, მისცეს სახელმწიფო ბანკის კრედიტები პროდუქციის სახელშეკრულებო ღირებულების 50-მდე პროცენტის ოდენობით;

ბ) დაამტკიცოს ცენტროსოიუზის წარდგინებით ადმინისტრაციულ-სამმართველო და სასაწყობო აპარატის შტატი კარტოფილისა და ბოსტნეულის საცალო ვაჭრობის სახელმძღვანელოდ ქალაქებსა და მუშათა დაბებში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწყობების, ბაზების, საცავებისა და გადამუშავების პუნქტების შტატი იმ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატის დამატებით, რომელიც ცენტროსოიუზს დამტკიცებული აქვს 1953 წლისათვის.

71. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს კოლმეურნეობებთან და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებით გადაზიდონ კარტოფილი და ბოსტნეული „სოიუზსელსოზავტოტრანსის“ ავტოტრანსპორტით და მოკავშირე რესპუბლიკების ავტოტრანსპორტით რკინიგზის სადგურებში, სამდინარო და საზღვაო ნავმისადგომებსა და ნავსადგურებში, საკოლმეურნეო ბაზრებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ქსელში.

* * *

პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად სოფლად ჩაითვალოს ამ დადგენილებით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერება იმ მხრივ, რომ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განახორციელონ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების განვითარების ღონისძიებანი. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განუმარტონ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ეს დადგენილება, მოაწყონ მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისა და ამ კულტურების საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდებისათვის.

ფეხბურთი ერაკლეულ ბიბ—ეროვნული
საერთაშორისო ამხანაგური
ლენინგრადი. 26 სექტემბერს ლენინგრადში ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრები გუნდი და ლენინგრადის „ზენიტი“. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2. რუმინელი ფეხბურთელებიდან ორივე ბურთი გაიტანა შუამავლმა ა. ენემ.

სსრ კავშირის თასის გათამაშება

მოსკოვი. დედაქალაქის „სპარტაკმა“ 26 სექტემბერს მერეედფინალში დამარცხა ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ ანგარიშით 5:0 და მეოთხედფინალში გავიდა.

მრავალი მაყურებელი ესწრებოდა 27 სექტემბერს მოსკოვში თბილისისა და კიევის დინამოელთა მერეედფინალურ ასპარეზობას. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 1:0. 37-ე წუთზე ბურთი გაიტანა ა. ღოლობერიძემ. მეორე ტაიმის მე-12, 28-ე და 41-ე წუთზე ჭკუასელმა ორი და ინთამძემ ერთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და ამრიგად შეჯიბრება დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

თბილისის დინამოელები 1 ოქტომბერს მეოთხედფინალში შეხვდებიან მოსკოველ თანაკლუბელებს.

სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში

ლენინგრადი. (სპეც. კორ.). 26 სექტემბერს გამართა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის მეოთხე ტური ჭადრაკში, ხოლო 27 სექტემბერს — დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

ლენინგრადელმა მოჭადრაკეებმა მოუგეს მოსკოვის გუნდს ანგარიშით 7:3; მათ დაამარცხეს აგრეთვე ბელორუსიისა და რსფსრ-ის მოჭადრაკეთა კოლექტივები.

დედაქალაქის მოჭადრაკეებმა მძაფრი ბრძოლის შემდეგ ფრედ (5:5) დაამთავრეს შეხვედრა უკრაინის გუნდთან; ესტონელ მოჭადრაკეებთან შეჯიბრება მოსკოველებმა დაამთავრეს 5½:4½.

რსფსრ-ის გუნდმა მოუგო საქართველოსა და ესტონელ მოჭადრაკეებს ანგარიშით 8:2 და 7:3, უკრაინის გუნდმა — ესტონელ მოჭადრაკეებს 6½:3½.

სასამართლოს დარბაზიდან

სახელმწიფო ქონების გამნიავებელს — ღირსეული სასჯელი

მადა ჭამაში მოდისო, ხშირად დაუკვეხნია თბილავაჭრობის № 23 მაღაზიის სექციონერს სერგო გიორგის-ძე ზუბიევს. იგი ყოველდღე ქეიფობდა და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა...

ერთ დღეს ს. ზუბიევს რევიზია ეწვია. მას მაღაზიაში 63.065 მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა. ბოროტმოქმედი გაიქცა, მიიმალა, მაგრამ მილიციის ორგანოებმა იგი მალე შეიპყრეს.

ამ დღეებში თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ბ. კერესელიძის თავმჯდომარეობით გაარჩია სახელმწიფო ქონების გამფლანგველის ს. ზუბიევის საქმე. სასამართლომ ბოროტმოქმედ ს. ზუბიევს მიუსაჯა 15 წლით პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. მასვე დაეკისრა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურება.

ა. სხვაველი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კლინიკის და რესპუბლიკური თვალის სნეულებათა კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან **ანა კორნელის ასულ ხრამელაშვილის** გარდაცვალებას.

საქკონსერვტრესტის ადმინისტრაცია და თანამშრომლები იუწყებიან **სევერიან ექვთიმეს-ძე გოქსაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-IX, 8 ს. გამოსვენება 1-X, 6 ს. ტარიელის შესახვევი № 3.

მეუღლე მარგარიტა, შვილი იოსებ, შვილიშვილი თეიმურაზ, რძალი თამარ იუწყებიან **გიორგი იოსების-ძე სუმბათაშვილის** გარდაცვლებას. პანაშვიდი 30-IX, 8 ს. გამოსვენება 1-X, 6 ს. ნორიოს აღმართი № 1-ბ.

მეუღლე მიხეილ ღლონტი იუწყება **ეკატერინე გიორგის ასულ აბულაძე-ღლონტის** გარდაცვლებას. გამოსვენება 29-IX, 5 ს. ბესიკის ქ. № 14.

სტალინის სახელობის რაიონულ ეპიდსადგურის და სამედიცინო ინსტიტუტის ეპიდემიოლოგიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **ანა კორნელის ასულ ხრამელაშვილის** გარდაცვლებას.

მარანდა და კონსტანტინე გამსახურდიები შვილებით ნათელათი, თამარითა და ზვიადით, სოფიო ხინდრავა, ტატიანა და გივი ნადარეიშვილები, სი